



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ბიზნესის ადმინისტრირება
ფინანსები და საბანკო საქმე

ნინო გაბრიჭიძე

სამეწარმეო რისკების დაზღვევის განვითარების პერსპექტივები
საქართველოში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი ი. კოვზანაძე

თბილისი

2020

ანოტაცია

სამეწარმეო რისკების დაზღვევის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

საზოგადოებრივი პროცესის განვითარებაში დიდი როლი და მნიშვნელობა გააჩნია დაზღვევას. განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა შეიძინა საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამეწარმეო რისკების დაზღვევამ. საბაზრო ეკონომიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სადაზღვევო სექტორის ფუნქციონირების სწორად მიმდინარეობას. სულ უფრო მატულობს სადაზღვევო სექტორის ფუნქციები და მნიშვნელობა, რაც სადაზღვევო ბაზარს კიდევ უფრო მოთხოვნადს ხდის. დაზღვევა ქვეყნის ეკონომიკის ფინანსური სტაბილურობის გარანტია.

მსოფლიო მეურნეობის გლობალიზაციამ გამოიწვია ეროვნული ეკონომიკის დაუცველობა, რადგან მასზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური კრიზისი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, აგრეთვე წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების მნიშვნელოვანი განვითარება, საერთაშორისო კონკურენციისა და საბაზრო დეფოლტის ინტენსიურობის ზრდა, აგრეთვე ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენება.

სამეწარმეო რისკების დაზღვევა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია, მითუმეტეს მაშინ, როცა თითოეული ქვეყნის ეკონომიკა უფრო მეტად დამოკიდებული ხდება სხვა ქვეყნის ეკონომიკაზე და ზოგადად მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე. ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, ექვსი ქვესაკითხის, დასკვნებისა და წინადადებებისაგან. მას თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია. სამაგისტრო ნაშრომში განხილული მაქვს დაზღვევის ეკონომიკური არსი, კერძოდ, სამეწარმეო რისკები და მათი მართვის მეთოდები, მეორე თავში სამეწარმეო რისკების დაზღვევის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, მათ შორის სადაზღვევო კომპანიების მიერ შემოთავაზებული სადაზღვევო პაკეტები და სტატისტიკური ანალიზი სამეწარმეო რისკების დაზღვევის მიმართულებით.

Annotation

Prospects for Entrepreneurial Risk Insurance Development in Georgia

Nino Gabritchidze

Insurance plays a big role in the development of the public process. Entrepreneurial risk insurance has acquired a special role and importance in the conditions of a market economy. In the market economy, great importance is attached to the proper functioning of the insurance market. The functions and importance of the insurance market are growing, which makes the insurance market even more demanding. Insurance guarantees the financial stability of the country's economy.

The globalization of the world economy has led to the vulnerability of the national economy as it is affected by the economic crisis in various countries. Important factors also include the rapid development of financial instruments produced, the increase in the intensity of international competition and market defaults, as well as the widespread use of new information technologies.

Entrepreneurial risk insurance is one of the most pressing issues, especially as the economies of each country become more dependent on the economies of other countries and the current economic processes in the world in general.

The paper consists of an introduction, two chapters, four sub-questions, conclusions and suggestions. Attached is a list of used literature. In this paper, I discuss the economic essence of insurance, namely entrepreneurial risks and their management methods, in the second chapter, the prospects for the development of entrepreneurial risk insurance in Georgia, including insurance packages offered by insurance companies and statistical analysis of entrepreneurial risk insurance.

შინაარსი

ანოტაცია ქართულ ენაზე

ანოტაცია ინგლისურ ენაზე

შესავალი.....	5
თავი პირველი. დაზღვევის ეკონომიკური არსი საბაზრო ეკონომიკის პირობებში	7
1.1. სამეწარმეო რისკების არსი და სახეები	7
1.2. სამეწარმეო რისკები და დაზღვევა	12
თავი მეორე. სამეწარმეო რისკების დაზღვევის სახეები	15
2.1 სამეწარმეო რისკების მართვის მეთოდები.....	15
2.2 სამეწარმეო რისკების გაზომვისა და შეფასების მეთოდები.....	20
თავი მესამე. სამეწარმეო რისკების დაზღვევის განვითარების მიმართულებები საქართველოში.....	25
3.1. სადაზღვევო კომპანიების მიერ შეთავაზებული სადაზღვევო პაკეტები სამეწარმეო რისკების დაზღვევაში.....	25
3.2. სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის სტატისტიკური ანალიზი სამეწარმეო რისკების დაზღვევის მიმართულებით	40
დასკვნები და წინადადებები.....	55
გამოყენებული ლიტერატურის სია.....	57

შესავალი

თემის აქტუალობა სამეწარმეო და საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების სახეობები თანდათან იზრდება ეკონომიკური, სოციალური და ტექნოლოგიური განვითარების შედეგად. ბოლო პერიოდის განმავლობაში რისკების მართვა საკმაოდ პრობლემატური თემა გახდა ფინანსური ბაზრების მონაწილეებისთვის, კომპანიებისა და სახელმწიფო ორგანიზაციებისთვის.

საბაზრო ეკონომიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სადაზღვევო სექტორის ფუნქციონირების სწორად მიმდინარეობას. სულ უფრო იზრდება სადაზღვევო სექტორის ფუნქციები და მნიშვნელობა, რაც სადაზღვევო ბაზარს კიდევ უფრო მოთხოვნადს ხდის. დაზღვევა ქვეყნის ეკონომიკის ფინანსური სტაბილურობის გარანტია.

მსოფლიო მეურნეობის გლობალიზაციამ გამოიწვია ეროვნული ეკონომიკის დაუცველობა, რადგან მასზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური კრიზისი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, აგრეთვე წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების მნიშვნელოვანი განვითარება, საერთაშორისო კონკურენციისა და საბაზრო დეფოლტის ინტენსიურობის ზრდა, აგრეთვე ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენება.

საზოგადოებრივი პროცესის განვითარებაში დიდი როლი და მნიშვნელობა გააჩნია დაზღვევას. ერთ-ერთი აქტუალური საკითხია სამეწარმეო რისკების დაზღვევა, მითუმეტეს მაშინ, როცა თითოეული ქვეყნის ეკონომიკა უფრო მეტად დამოკიდებული ხდება სხვა ქვეყნის ეკონომიკაზე და ზოგადად მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე.

კვლევის ობიექტი - სამეწარმეო რისკების დაზღვევის ფუნქციები და როლი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სამეწარმეო რისკების დაზღვევის ქრილში საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ანალიზი.

ნაშრომის მიზანი და ამოცანები. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს სამეწარმეო რისკების სახეობების შესწავლა, მათი დაზღვევის საშუალებებისა და საქართველოში არსებული მდგომარეობის ანალიზი, სადაზღვევო ბაზარზე არსებული პრობლემების

განხილვა, სადაზღვევო ხელშეკრულებების სრულყოფის გზების მოძიება და სადაზღვევო ბიზნესის სრულყოფისთვის საჭირო ღონისძიებათა წარმოჩინება.

კვლევის ძირითადი შედეგები. შესწავლილი არის სამეწარმეო რისკების სახეობები და დაზღვევის განვითარების ძირითადი მიმართულებები. დასაბუთებულია, რომ სამეწარმეო რისკების დაზღვევას მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ეკონომიკის განვითარებაში და სადაზღვევო ბაზრის სრულყოფაში.

კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდიკა. ნაშრომის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს მეცნიერ-ეკონომისტთა გამოკვლევები სადაზღვევო ბაზრის აქტუალურ პრობლემებზე, დაზღვევის სფეროში მიღებული საკანონმდებლო აქტები, ეკონომიკური რეფორმების სამთავრობო კონცეფციები და პროგრამები და ა.შ.

ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე. სამაგისტრო ნაშრომში ჩამოყალიბებულია სადაზღვევო ბაზრის, კერძოდ, სამეწარმეო რისკების დაზღვევის ფუნქციონირებისა და ფორმირების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების სისტემური ანალიზი. ასევე განხილულია სამეწარმეო რისკების დაზღვევის ცალკეული სახეების განვითარების მიმართულებები.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის შედეგები შესაძლებელია გამოვიყენოთ სამეწარმეო რისკების დაზღვევისა და ზოგადად სადაზღვევო ბაზარზე პერსპექტიული მიმართულებების დადგენასა და განვითარებისათვის.

ნაშრომის სტრუქტურა. სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურული აგებულება მიმდინარეობს თეორიიდან მეთოდოლოგიისაკენ და მეთოდოლოგიიდან პრაქტიკისაკენ. იგი შედგება სარჩევის, შესავლის, ძირითადი ტექსტის (რომელიც თავის მხრივ შედგება სამი თავისა და ექვსი ქვეთავისაგან), დასკვნებისა და წინადადებებისგან და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან.

თავი პირველი. დაზღვევის ეკონომიკური არსი საბაზრო ეკონომიკის პირობებში

1.1. სამეწარმეო რისკების არსი და სახეები

სამეწარმეო საქმიანობა გულისხმობს რისკს, რომელიც დაკავშირებულია ყველა სახის სამეწარმეო საქმიანობასა და პროდუქციის, საქონლისა და მომსახურების გამოშვებასთან, მათ რეალიზაციასთან, კომერციასთან, სასაქონლო-ფინანსურ ოპერაციებსა და ასევე სამეცნიერო-ტექნიკური პროექტების განხორციელებასთან.¹

სარისკო სიტუაციებს შემდეგი ნიშნები ახასიათებთ: შემთხვევითი მოვლენები, რომლითაც განისაზღვრება, თუ რომელი მეთოდის გამოყენება იქნება ხელსაყრელი პრაქტიკაში; ალტერნატიული გადაწყვეტილებების მიღება; ალბათობა, რომელიც დაკავშირებულია დანაკარგების არსებობასთან; ალბათობა, რომელიც უკავშირდება მოგების გაზრდას.

აბსოლუტური და შეფარდებითი დონით შეგვიძლია განვსაზღვროთ სამეწარმეო რისკის რაოდენობითი ზომა, რომელიც წარმოიქმნება სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას.

რისკი შეგვიძლია დავადგინოთ დანაკარგების მოცულობით აბსოლუტურ გამოხატულებაში. დანაკარგების სიდიდე, რომლადაც მიღებულია საწარმოს მდგომარეობა, რესურსების ხარჯვა ან გამოშვებული პროდუქციისაგან მისაღები შემოსავალი განისაზღვრება შეფარდებით გამოხატულებაში.

სამეწარმეო რისკების ზოგად სამართლებრივი დახასიათება

სამეწარმეო რისკის სუბიექტად მოიაზრება, როგორც :

1. ინდივიდუალური მეწარმე;
2. იურიდიული პირი;
3. ააიპ.

¹ ბიზნეს-პორტალი www.Lari.ge

სამეწარმეო რისკები იყოფა ოთხ ჯგუფად :

I ჯგუფი -საოპერაციო რისკები. მათ მიეკუთვნება: ვაჭრობა, ხელმძღვანელობა, ფინანსური მონიტორინგი, ინფორმირებულობა;

II ჯგუფი - ფინანსური რისკები, რომელშიც მოიაზრება: კაპიტალის ღირებულება, ბაზრის ცვალებადობა, ზრდის კაპიტალიზაცია, საბანკო და საგირაო რისკები;

III ჯგუფი - დაუძლეველი ძალა, ქურდობა, მუშახელის ჯანმრთელობის პრობლემები, ვალდებულებები, სტიქიური უბედურებები, ქონებრივი დანაკარგები;

IV ჯგუფი - სტრატეგიული რისკები: კონკურენცია, ბრენდინგი და იმიჯი, მომხმარებლისა და ბაზრის ცვალებადობა, ზრდის სტრატეგია.²

ენდრიუ ბლექმენი სტატიაში³ „სამეწარმეო რისკების ძირითადი სახეობები“ გამოყოფს რისკების რამდენიმე ჯგუფს: **სტრატეგიული რისკები** - წარმატებულ ბიზნესს სჭირდება ზედმიწევნით სწორად დასახული ბიზნეს-გეგმა. მაგრამ ფაქტია, რომ ყველაფერს სჭირდება ცვლილება და მათ შორის გეგმებსაც, რადგან ზოგჯერ ის უფრო ნაკლებმომგებიანი და მოძველებული ხდება, თან ძალიან სწრაფად.

სტრატეგიული რისკი ეს არის რისკი იმისა, რომ კომპანია გახდეს ეფექტური და უფრო მეტი შრომა დასჭირდეს მიზნის მისაღწევად. ის შეიძლება გამოწვეული იყოს ტექნოლოგიური ცვლილებებით, მომხმარებელთა მოთხოვნის ცვლილებით, ძლიერი კონკურენტის შესვლით ბაზარზე, მასალებზე ფასების ზრდით ან ნებისმიერი სხვა ტიპის ცვლილებით; **შესაბამისობის რისკი** - კანონმდებლობა იცვლება მუდმივად და ყოველთვის არსებობს რისკი, რომ კომპანია შეეჯახოს დამატებითი რეგულირების პრობლემებს მომავალში. ბიზნესის გაფართოებასთან ერთად შესაძლებელი არის ახალი წესების დანერგვა გახდეს საჭირო კანონმდებლობასთან შესაბამისობისთვის.

² ირაკლი თედორაძე „სადაზღვევო კულტურის ამაღლება - აუცილებელი პირობა ბიზნესის განვითარებისთვის“, თბ 2015 წ

³ Andrew Blackman `The Main Type of Business Risk`

ასეთ რისკთან შეჯახება მაშინაც ხდება, როდესაც კომპანია ერთ ქვეყანაში იწყებს მოღვაწეობას და შემდეგ აფართოებს წარმოებას სხვა ქვეყნისთვისაც. გამკლავება დამატებით რეგულირებებთან მოითხოვს ბიზნესის დიდ დანახარჯებს. მაშინაც კი, თუ ბიზნესი გეოგრაფიულად არ ფართოვდება და აფართოებს პროდუქტის ხაზს, ადგილი შესაძლოა ჰქონდეს შეუსაბამობის რისკს; **საოპერაციო რისკი** - მოულოდნელ ჩავარდნებს კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში მიეკუთვნება საოპერაციო რისკები. ეს შესაძლოა იყოს ტექნიკური, პროცესებისა და თანამშრომლების ჩავარდნები.

ხშირ შემთხვევაში, საოპერაციო რისკები შესაძლოა გამოწვეული იყოს კონტროლს მიღმა არსებული შემთხვევებით, როგორცაა ბუნებრივი კატასტროფები, ელექტროენერჯის მიწოდების შეზღუდვა ან ვებ-გვერდთან დაკავშირებული პრობლემები. ნებისმიერი რამ რაც ხელს უშლის კომპანიის საოპერაციო საქმიანობას შესულია საოპერაციო რისკების კატეგორიაში.

ფინანსური რისკი - რისკების უმრავლესობას ფინანსური გავლენა აქვს, დამატებითი ხარჯებისა და შემოსავლების დანაკარგების სახით. თუმცა ფინანსური რისკების კატეგორია სპეციალიზდება ფულის გადინება-შემოდინებაში და მოულოდნელ ფინანსურ დანაკარგში.

ფინანსურ რისკებს იწვევს ფულადი სახსრების არასწორ მსესხებელზე გაცემა. თუ მსესხებელი გადახდისუნარიანი არ იქნება, აღნიშნული გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგებს კომპანიისათვის.

ფინანსური რისკები იზრდება, როდესაც ბიზნესი ირაციონალურად კეთდება. სხვადასხვა ქვეყანაში პროდუქციის გაყიდვისას შემოსავლები განსხვავებულ ვალუტაშია, ამიტომ ხშირად დანაკარგებს კურსთაშორისი განსხვავებები იწვევს.

რეპუტაციის რისკი - ბიზნესის სახეობებს ერთი რამ აერთიანებს: რეპუტაცია, ყველაფერია და არა აქვს მნიშვნელობა რომელ სფეროში მოქმედებს.

ყველა სამეწარმეო რისკი იყოფა ორ დიდ ჯგუფად, დაზღვევის შესაძლებლობის მიხედვით: დაზღვევადი და დაუზღვევადი. ⁴

⁴ Andrew Blackman `The Main Type of B

სადაზღვევო რისკები არის მოსალოდნელი დანაკარგები, რომლებიც წმოიქმნება შემდეგ შემთხვევებში:

- ხანძრებისა და სხვა სტიქიური უბედურებების;
- ავტოსაგზაო შემთხვევის;
- ფირმის თანამშრომელთა შეცდომების;
- ტრანსპორტირების პროცესში პროდუქციის გაფუჭებისა ან განადგურების შედეგად;
- ფირმის თანამშრომელთა მიერ კონკურენტებისთვის შიდა დოკუმენტაციის გადაცემისას;
- სავარაუდო დანაკარგები ფირმის თანამშრომელთა ჯანმრთელობის პრობლემების შედეგად.

ყველაზე გავრცელებული სამეწარმეო რისკების სახეობებია:

პოლიტიკურ რისკებად მიიჩნევა საწარმოო დანაკარგები ან წლიური მოგების შემცირება, რომლებიც გამოწვეულია სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად.

პოლიტიკური რისკებს ოთხ ქვეჯგუფად დაყოფა შეგვიძლია: ნაციონალიზაციისა და ექსპროპრიაციის რისკი ადექვატური კომპენსაციის გარეშე; ხეკშეკრულების გაუქმების რისკი იმ სახელმწიფოს მთავრობების ქმედების გამო, სადაც კომპანია ფუნქციონირებს; სატრანსფერტო რისკი, რომელიც პირდაპირ კავშირშია ვალუტის კონვერტაციასთან მიღებულ შეზღუდვებთან; სამხედრო მოქმედებებისა და სამოქალაქო უწყსრიგობების რისკი.

პოლიტიკური რისკების დათვლისას ქვემოთ ჩამოთვლილ კომპონენტებს ანიჭებენ მნიშვნელობას: მთავრობის სტაბილურობას, საინვესტიციო პორტფელი, სოციალურ-ეკონომიკური პირობები, კორუფცია, სამხედროები პოლიტიკაში, შიდა კონფლიქტი, საგარეო კონფლიქტი, რელიგია პოლიტიკაში, კანონი და წესრიგი, ეთნიკური დაძაბულობა, დემოკრატია, ბიუროკრატის ხარისხი.

სამეწარმეო რისკი - დაკავშირებული არის კომპანიის საქმიანობის წარმოებასთან, რა დროსაც მეწარმეებს ექმნებათ ნედლეულის არამიზბონრივი გამოყენების პრობლემები,

გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების გაზრდა სამუშაო დროის დანაკარგების ზრდასთან ერთად, ახალი მეთოდების გამოყენება წარმოების პროცესში.

კომერციული რისკის წარმოქმნა შესაძლებელია, როდესაც კომპანია ახორციელებს მის მიერ გამოშვებული ან შექმნილი პროდუქციისა და მომსახურებების რეალიზაციას.

კომერციული რისკის მიზეზთა ნუსხა შემდეგნაირად გამოიყურება: რეალიზაციის მოცულობების შემცირება პროდუქციაზე, მოთხოვნილებების შემცირების გამო, კონკურენტის ქმედებების მიერ მისი ბაზრიდან გასვლა, პროდუქციაზე ფასის საგრძნობლად მომატება წარმოების განხორციელების პროცესში; გაყიდვების შეზღუდვა; შესყიდვების შემცირებული რაოდენობის განხორციელება, ვიდრე ეს წინასწარ იყო გასაზღვრული, რომელიც წარმოების მასშტაბს ამცირებს და რეალიზებადი საქონლის მოცულობის ერთეულზე დანახარჯების გაზრდას იწვევს; მიმოქცევის პერიოდში პროდუქციის ხარისხის შემცირება, რაც ფასის შემცირებაში გამოიხატება; საქონლის დანაკარგები.

ფინანსური რისკი - ვლინდება ფინანსური გარიგებების ან ფინანსური მეწარმეობის განხორციელებისას. ფინანსური მეწარმეობისას გამოშვებულ საქონელს წარმოადგენს ფასიანი ქაღალდები, ვალუტა ან ფულადი სახსრები. ფინანსურ რისკებს მიეკუთვნება: სავალუტო რისკი, საინვესტიციო რისკი, საკრედიტო რისკი .

ტექნიკური რისკი - მომგებიან სამეწარმეო საქმიანობას, მუდმივად , თან ერთვის თანამედროვე ტექნოლოგიის შესწავლა, რეზერვების შექმნაზე ფიქრი, წარმოების ინტენსივობის გაუმჯობესება. ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვას ყოველთვის თან ახლავს ტექნოგენური კატასტროფების საფრთხეები, რაც დიდ ზიანს აყენებს ბუნებას, ადამიანებსა და საწარმოს საქმიანობას.

დარგობრივი რისკი - დანაკარგების ალბათობა დარგის ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების შედეგად, როგორც დარგის შიგნით, ისე სხვა დარგებთან შედარებით დამოკიდებულია ამ ცვლილებების ხარისხზე .

საინოვაციო რისკი - წარმოადგენს ალბათობას დანაკარგებისა, რაც გამოწვეულია კომპანიის მიერ გამოსაშვები საქონლისა და მომსახურების წარმოებისთვის სახსრების ინვესტირებისას.

საინოვაციო რისკის წარმოშობის სიტუაციები შემდეგია: კომპანიის პროდუქციის წარმოებისთვის უფრო ეკონომიური მეთოდის შემოღება არსებულთან შედარებით; ახალი საქონლის ან მომსახურების ძველ დანადგარებზე შექმნისას; კომპანიის ახალი საქმიანობისთვის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ტექნიკის გამოყენებისას.

1.2. სამეწარმეო რისკები და დაზღვევა

რისკების წარმატებით მართვა დაკავშირებულია კონკრეტულ ეკონომიკურ, იურიდიულ და ორგანიზაციულ გარემოში კომპანიის მენეჯერთა მხრიდან გამოყენებულ მეთოდებზე. მენეჯერთა არსენალი ყოვლისმომცველია, რომელთა შორის ყველაზე გამორჩეული მეთოდებია: დაზღვევა, რეზერვირება ანუ თვითდაზღვევა, ჰეჯირება, დივერსიფიკაცია, განაწილება, მინიმიზაცია და სარისკო ოპერაციებიდან თავის არიდება. რისკების მართვის მეთოდების კომბინაცია ყველაზე გავრცელებული მეთოდია რისკების მართვის ეფექტიანობასა და სამეწარმეო საქმიანობის ეკონომიკური უსაფრთხოების წარმატებით განხორციელებაში.

სამეწარმეო რისკების დაზღვევის ობიექტები, კერძოდ კი, მზღვეველთა მომხმარებლების ქონებრივი ინტერესები უკავშირდება კომპანიის მიერ თავისი საქმიანობის წარმატებით მიმდინარეობას. მზღვეველისათვის გადასახდელი სადაზღვევო პრემია ნაკლები ან ტოლი უნდა იყოს კომპანიის საქმიანობის შედეგად მიღებული დანაკარგების, რაც წარმოიშება სადაზღვევო შემთხვევის დროს. ასევე, სადაზღვევო პოლისებში გათვალისწინებულია სხვადასხვა ტიპისა და მოცულობის ფრანშიზები. სადაზღვევო რისკები აგრეთვე ითვალისწინებს, როგორც ბუნებრივი კატაკლიზმებით, ასევე პოლიტიკურ ეკონომიკური ფაქტორებით წარმოქმნილ შემთხვევებს.

დაზღვევა ერთადერთი მექანიზმია, რომ თავი დავიცვათ გაუთვალისწინებელი რისკებისგან და მათგან გამოწვეული ფინანსური დანაკარგისგან.

სხვადასხვა რისკებისა და საფრთხეების დაზღვევა უპირველესი საზრუნავია ნებისმიერი ბიზნეს ორგანიზაციისთვის. ბიზნესის მფლობელები და თანამშრომლები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ ერთ გაუთვალისწინებელ შემთხვევას არ მოჰყვება საწარმოს დიდი ხნით გაჩერება ან გაკოტრება.

რისკების მართვის ორ მეთოდს მიმართავენ ძირითადად ორგანიზაციები და ინვესტორები: თვითდაზღვევასა და დაზღვევას. დაზღვევის დროს ზარალის სიდიდე არ ანაზღაურდება მზღვეველის მიერ, მაგრამ ის ასევე ზრდის კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რადგანაც ითვალისწინებს სადაზღვევო პრემიების სისტემატურ შეტანას. მზღვეველი ქმნის სპეციალურ სარეზერვო „სარისკო“ ფონდსა და სრულად ინარჩუნებს რისკს თვითდაზღვევის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე მას ორი სახის ზარალი წარმოექმნება: პირდაპირი და ირიბი. პირდაპირი დანახარჯი - ეს არის არასასურველი შემთხვევის მოხდომისას დანაკარგების სიდიდე. სარეზერვო ფონდის დაბალი შემოსავლიანობით კი ირიბი დანაკარგები არის განპირობებული.

ერთობლივ საწარმოებში რისკ-მენეჯმენტი კიდევ უფრო განვითარებულია, რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ უცხოელი დამფუძნებლებისა და პარტნიორების გამოცდილება. რისკ-მენეჯმენტის სისტემა ატარებს ფრაგმენტულ, ეპიზოდურ და შეზღუდულ ხასიათს მსხვილ და ერთობლივ საწარმოებშიც. კომპანიათა

უმრავლესობა რისკების იდენტიფიცირებისას არ აქცევს ყურადღებას სტრატეგიულ რისკებს. ესენია: რეპუტაციის რისკი, ტექნოლოგიური ინოვაციების რისკი, დემოგრაფიული, სოციალური რისკები და სხვა. მოდელის რისკი სრულებით არ განიხილება, რადგანაც კომპანიათა უმრავლესობა არ იყენებს რისკ-მენეჯმენტის მოდელს. მონაცემთა ბაზები ძირითადად მხოლოდ საფინანსო ორგანიზაციებს გააჩნიათ. აგრეთვე გასათვალისწინებელია პრობლემაა, რომ რისკების მართვას კომპანიებში ამა თუ იმ თანამდებობის პირები ახორციელებენ და არა სპეციალური განათლების მქონე პირები. ასეთი პროცესებია დამახასიათებელი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის. ბიზნესის განვითარების კვალობაზე საქართველოში რისკ-მენეჯმენტი გახდება აქტუალური, რასაც ხელს შეუწყობს ბიზნეს-სექტორისთვის რისკების შეფასებისა და მართვის, ასევე რისკ-მენეჯმენტის ისეთი სისტემის შეთავაზება, რომელიც შეესაბამება ქართულ რეალობას.


თავი მეორე. სამეწარმეო რისკების დაზღვევის სახეები

2.1. სამეწარმეო რისკების მართვის მეთოდები

რისკის მართვა ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი პროცესია ეკონომიკური საქმიანობისათვის, რადგან მისი მოცულობა ზემოქმედებს ადამიანისა და კომპანიის შემოსავლებთან. აღნიშნულის მიზანს წარმოადგენს ადამიანსა და ორგანიზაციაზე მოქმედი საფრთხეების აქტიური კონტროლი. ის საშუალებას იძლევა მაქსიმალურად შემცირდეს დამდგარი ზარალი, მოსალოდნელი დანაკარგები. რაც უფრო მაღალია მოსალოდნელი, რისკი მით მეტი რესურსი სჭიდება მის თავიდან აცილებას. რისკის შესახებ ბევრი ცოდნა კარგ საშუალებას წარმოადგენს მისი მართვისთვის. შედეგად, ეფექტურად ორგანიზებული რისკის მართვის პროცესი შესაძლებლობას იძლევა ადამიანისა ან ორგანიზაციის საქმიანობის წარმატებისა.

რისკების მართვა მრავალეტაპიანი პროცედურაა და შედგება სამი ეტაპისაგან:

- ანალიზი
- მართვა
- კონტროლი



პირველი ეტაპი რისკის ანალიზით იწყება.

რისკის ანალიზის პროცესის ორი ეტაპი გამოიყოფა: რისკების იდენტიფიკაცია და რისკის შეფასება. რისკის წარმატებულად იდენტიფიცირებისას, ასევე წარმატებით არის შესაძლებელი მისი მართვა. ყოველივე ეს მოიაზრებს რისკების იდენტიფიკაციისათვის საჭირო მთავარ მნიშვნელობას.

რისკების გამოვლენისთვის საჭიროა გამოვიკვლიოთ შემდეგი: საფრთხეები, რომლებსაც მივყავართ არასასურველ შედეგამდე; ფაქტორები, რომლებმაც შესაძლებელია გაზარდონ ან შეამცირონ რისკების რეალიზაციის ალბათობა; ორგანიზაციის რესურსები, რომლებიც შესაძლოა დააზარალოს რისკებმა; რისკის რესურსზე ზემოქმედებისას მიღებული დამდგარი ზარალი.

რისკების გამოვლენა იმ მოსალოდნელობების დადგენით იწყება, რომლის წინაშეც ორგანიზაცია და მის ხელთ არსებული რესურსები დგას. ორგანიზაციის რესურსები შემდეგს მოიცავს: უძრავი ქონება, ადამიანური რესურსი და ფინანსური რესურსი. ასევე რესურსების ყველა ჯგუფს მისთვის დამახასიათებელი სპეციფიური რისკები გააჩნია. მაგალითად ქონებრივ რესურსებს ისეთი ტრადიციული რისკები ახასიათებთ, რომლებიც უკავშირდება ხანძარს, სტიქიურ უბედურებებსა და ვანდალიზმს.

ქონებრივ რესურსებს ასევე ახასიათებთ ახასიათებთ ისეთი საფრთხეები, რომლებიც უკავშირდება ტექნოლოგიურსა და ტექნიკურ რისკებს. დიდია ალბათობა იმისა, რომ წყობიდან გამოვიდეს საწარმოს ტექნიკა, კომპანიამ შეაჩეროს საწარმოო პროცესები, ასევე მოცემული რესურსებისთვის დამახასიათებელი ნიშანია წარმოების მატერიალური უზრუნველყოფის პირობების დარღვევის რისკები, როცა კომპანიისთვის ნედლეულის მიწოდება შემცირებული რაოდენობით ხორციელდება.

კომპანიის პერსონალთან მჭიდროდ დაკავშირებულმა რისკებმა შესაძლებელია ორი სახის პოტენციური ზიანი გამოიწვიოს. უპირველეს ყოვლისა, მას წარმოადგენს კომპანიის პასუხისმგებლობა დაიცვას უსაფრთხოება და მომხმარებელთა მიერ გამოთქმულ პრეტენზიები ორგანიზაციის თანამშრომლების მიმართ. მეორეს მხრივ, ის მიეკუთვნება გარე რისკებს, რომლებიც კავშირშია კომპანიაში დასაქმებული თანამშრომლების სიცოცხლესა და ჯანმრთელობასთან და უკავშირდება თავიანთი დაკისრებული ფუნქციების შესრულებას.

კაპიტალურ რესურსებში იგულისხმება პასუხისმგებლობისა და ფინანსური რისკები, რომლებიც არ უკავშირდება დაკისრებულ პასუხისმგებლობას. პასუხისმგებლობის რისკები მიეკუთვნებიან იმ ფინანსური ზარალის სახეობებს, რომლებიც წარმოქმნილია პროდუქციის ხარისხზე, გამოყენებული ტექნოლოგიების ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე საწარმოს სამოქალაქო პასუხისმგებლობასთან.

რისკების იდენტიფიკაციისთვის ინფორმაციის მოპოვების სხვადასხვა მეთოდს იყენებენ. ეს მეთოდებია: ორგანიზაციის ფიზიკური დათვალიერება, დოკუმენტაციის

შესწავლა, ტექნოლოგიური პროცესების უწყვეტობის სქემები, გასაუბრება მუდმივ თანამშრომლებთან.

ორგანიზაციის ფიზიკური დათვალიერებით შესაძლოა აღმოჩნდეს ხანძრის დადგომის ალბათობა, გამართულად მუშაობს თუ არა ორგანიზაციაში ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა. ამასთან, შესაძლოა გამოვლინდეს ქურდობასა და ვანდალიზმთან კავშირში მყოფი საფრთხეები, რამდენად დაცულია შენობა. ამ დროს უნდა შეფასდეს ყველა რისკის გამომწვევი ფაქტორი, რომლებიც განაპირობებენ ბუნებრივი გარემოს ზიანს.

დოკუმენტების შესწავლა ითვალისწინებს კომპანიის წლიური ფინანსური საქმიანობის გაცნობას, ხელშეკრულებების შესწავლას, მათ შორის უძრავი ქონების, ნაკვეთების, მანქანა-დანადგარების საიჯარო ხელშეკრულებების შესახებ, კომპანიის დაზღვევის ხელშეკრულებების, საგარანტიო შეთანხმებების შესახებ ინფორმაციის გაცნობის.

დაქირავებულ თანამშრომლებთან უშუალო კონტაქტისას შესაძლებელია გამოვლინდეს კონკრეტული რისკები, რომელიც უშუალო კავშირშია წარმოების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფასთან, პროდუქციის გამოშვების პროცესთან, მათ რეალიზაციასთან, რაც ძირითად პერსონალთან გასაუბრებით მიიღწევა. ამ პრინციპით შესაძლებლობა გვეძლევა შევაფასოთ რისკის დინამიკა და მოვახდინოთ სავარაუდო პროგნოზირება. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი შეფასებები სუბიექტურია, რადგან თითოეული პიროვნება სხვადასხვანაირად აღიქმვამს ამა თუ იმ რისკს.

რისკების გამოვლენისას აუცილებელია ისეთი ფაქტორებისა და მიზეზების მაქსიმალურად წარმოჩენა, რომლებიც მნიშვნელოვნად ზემოქმედებენ რისკის რეალიზაციის ალბათობაზე. გამოყოფენ ორი კატეგორიის ფაქტორებს. პირველი კატეგორიის ფაქტორები რისკის გამომწვევ თავდაპირველ ფაქტორებს წარმოადგენენ. ხშირად, ისინი ისეთ ბუნებას ატარებენ, რომლებიც კონტროლის ქვეშ არ ექცევიან (ბუნებრივი კატაკლიზმები, ავტოსაგზაო შემთხვევი და ა.შ). მეორე კატეგორიის ფაქტორები ზემოქმედებენ ზიანის წარმოქმნის ალბათობაზე და მის მოცულობაზე. მათ

არ წამოადგენენ ზიანის წარმომქნელ მიზეზებად. აღნიშნული ფაქტორების დაყოფა შესაძლებელია ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებად. ობიექტური ფაქტორებია:

- სამშენებლო მასალები;
- დამცავი სიგნალიზაცია;
- ობიექტის ადგილმდებარეობა;
- დასაქმებულთა ასაკი და სქესი.

ხოლო სუბიექტური ფაქტორები მიკუთვნებულია პიროვნების თვისებებსა და ქცევის თვისებებთან.

რისკების იდენტიფიკაცია, ასევე გულისხმობს, ისეთი შიდა საფრთხეებისა და მიზეზების დადგენას, რომლებიც შესაძლებელია გამომდინარეობდეს კომპანიისაგან, აგრეთვე გამოწვეული იყოს გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად. შიდა რისკებს ისეთი საფრთხეები მიეკუთვნება, რომლებიც კომპანიის მიერ დაშვებული შეცდომებით წარმოიქმნება, ასევე პერსონალის არაპროფესიონალიზმით, ან ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გაუმართაობით. ხოლო რაც შეეხება გარე რისკებს, ისინი ისეთი რისკები არიან, რომლებიც უკავშირდებიან ბუნებრივ კატაკლიზმებს ან კომპანიის მნიშვნელოვანი მომხმარებლების გადახდისუუნარობას.

2.2. სამეწარმეო რისკების გაზომვისა და შეფასების მეთოდები

რისკის გამოვლენის შემდეგ იწყება მათი შეფასება. მისი შეფასება, ანუ მათი გაზომვა მოიაზრებს წარმოქმნილი რისკების რაოდენობრივ მახასიათებლთა განსაზღვრას: მოსალოდნელი ზარალის ალბათობისა და მოცულობის შეფასებას. აქ მიმდინარეობს არასასიამოვნო მოსალოდნელობების წარმოქმნის სცენარების ფორმირება.

რისკის გაზომვისთვის საჭიროა შემდეგი მეთოდები:

- ალბათობის შეფასება
- რანჟირება, დახარისხება

ორგანიზაციისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი საფრთხეებისა და რა ალბათობით არის ამ რისკების დადგომის შესაძლებლობა, მოისაზრება რისკის ალბათობის შეფასებაში.

საწარმოს მფლობელს სჭირდება გაანალიზება იმისა, თუ რამდენად ხშირად დადგა კონკრეტული მოვლენა თავის კომპანიაში. მაგალითად, რამდენია ხანძრების სტატისტიკური მაჩვენებლები, რამდენად ხშირად ზიანდებოდა კონკრეტული მანქანა-დანადგარი, იყო თუ არა მარცვებისა და ვანდალიზმის შემთხვევები და ა.შ. თუ კონკრეტული რისკის დადგომის სტატისტიკური მაჩვენებელი ხშირია, ეს გვიჩვენებს, რომ აღნიშნული რისკი ყველაზე დიდი საფრთხისმომცველია კომპანიისთვის. ამგვარი დასკვნა საჭიროა იმისთვის, რომ ყურადღება გამახვილდეს ამ კონკრეტული რისკის მიმართ, რაც შესაძლებლობას მისცემს მეწარმეს უკეთესად მართოს საწარმო. ამ დროს უნდა შეფასდეს მოსალოდნელი დანაკარგები. მისი ჩატარება შესაძლებელია კომპანიაში არსებული მანქანა-დანადგარების დაზიანებისას და ამ მიზეზის გამო კომპანიის საქმიანობის შეჩერებისას. პირველი მატერიალური დანაკარგია, უკანასკნელი კი, ფინანსური და ვლინდება კომპანიის მიერ გამოშვებული პროდუქციის შემცირებაში, რაც ასევე იწვევს შემოსავლებისა და მოგების შემცირებას. ასევე გამოიყოფა არაპირდაპირი ზარალის მრავალი ნაირსახეობა, რომლებიც არ იზღვევიან.

რისკის ანალიზის გამარტივებული მეთოდი მიეკუთვნება რისკების რანჟირებას. ის მოიცავს რისკების გაანალიზებას, ანალიზს, მათი რაოდენობრივი მახასიათებლების

მიხედვით. კერძოდ, ამ შემთხვევაში ხდება ზარალის ზომის გაანალიზება, ვლინდება რომელი რისკია პირველხარისხონავი და ასევე დანარჩენი რისკები.

რისკების გაზომვა შესაძლებელია მაღალ, საშუალო და დაბალ რისკებად. მაღალი რისკი - ეს არის ყოველწლიურად მოსალოდნელი რისკის. ეს ალბათობა 25 %-ზე მეტია. საშუალო რისკი. მასში გათვალისწინებულია რისკის მოსალოდნელი ალბათობა 10 წლის განმავლობაში. ამ შემთხვევაში რისკის დადგომის ალბათობა 25 %-ზე ნაკლებია. დაბალი რისკის შემთხვევაში კი მინიმუმამდე არის დაყვანილი რისკის დადგომის ალბათობა გრძელვადიან პერიოდში. ამ შემთხვევაში ალბათობა 2 %-ზე ნაკლებია.⁵

რისკის ალბათობა ფასდება 0-დან 1-მდე კოეფიციენტით. ალბათობა 50%-ზე ნაკლებია როდესაც კოეფიციენტი 0.5-ის ტოლია, 0.5 კოეფიციენტის ზევით ალბათობა კი 50%-ზე მეტია. 100%-ია, როდესაც კოეფიციენტის ნიშნული 1-ის ტოლია. ზარალის სერიოზულობის შეფასება 0-დან 10 ქულამდე არის შესაძლებელი. ზარალი, რომლის დანაკარგების დონე 5 ქულას აღწევს, დიდ ზეგავლენას ახდენს კომპანიის შეუფერხებლად ფუნქციონირებაში. დანაკარგები, რომელთა ზარალის დონე 5 ქულას აღემატება, კი, არსებით, მნიშვნელოვან, ზემოქმედებას ახდენენ კომპანიის საქმიანობაზე.

⁵ თენგიზ ვერულავა „რისკის მართვა“, თბ 2013 წ

რისკის შეფასება ქულებში

ცხრილი N2.1

რისკის ალბათობა		ზარალის სერიოზულობა	
კოეფიციენტი	მნიშვნელობა	ქულა	მნიშვნელობა
0	დანაკარგი არ არის	0	მცირე დანაკარგები მიმდინარე დანახარჯების ფარგლებში
0.1	ალბათობა ძალიან მცირეა	1	
0.2	ალბათობა ნაკლებად სავარაუდოა	2	საშუალო დანაკარგები
0.3	მცირე ალბათობა	3	
0.4	ალბათობა 50 %-ზე ნაკლებია	4	დანაკარგები კონტროლს ექვემდებარება
0.5	ალბათობა 50/50	5	
0.6	ალბათობა 50-60 %-ის ფარგლებშია	6	სერიოზული დანაკარგები
0.7	ალბათობა 60-70 %-ის ფარგლებშია	7	
0.8	ალბათობა 70-80 %-ის ფარგლებშია	8	საკმაოდ სერიოზული დანაკარგები
0.9	ალბათობა 80-90 %-ის ფარგლებშია	9	
1	ალბათობა 100 %-ია	10	კატასტროფული დანაკარგები

ზარალის სერიოზულობის შეფასება 0-დან 10 ქულამდე არის შესაძლებელი. ზარალი, რომლის შეფასებაც 5 ქულამდე არის შესაძლებელი დიდ ზეგავლენას არ ახდენენ კომპანიის ფუნქციონირებაზე.

კონკრეტული რისკების შემთხვევაში საუკეთესო მეთოდის არჩევის შემდეგ შესაძლებელია ჩამოყალიბდეს მართვის ოპტიმალური სტრატეგია. ამ გადაწყვეტილებების მიღების ეტაპზე შესაძლებელია განისაზღვროს ფინანსური და ადამიანური რესურსი, მენეჯერებს შორის დაკისრებული მოვალეობების გადანაწილება, საბაზრო სექტორის ანალიზის ჩატარება, კონსულტაციების გამართვა შესაბამისი კომპეტენციის ექსპერტებთან.

რისკის სამართავი მეთოდების შერჩევის შესახებ ორგანიზაცია გადაწყვეტილებას იღებს რისკის ანალიზის შემდგომ.

რისკის მართვაში ძირითადად იყენებენ ოთხ მეთოდს:

- აღმოფხვრა;
- შემცირება;
- დაკავება;
- გადაცემა .

რისკის აღმოფხვრა თავისთავად გულისხმობს სადაზღვევო შემთვევის დადგომის ალბათობის შემცირებას მინიმუმამდე, რისკის შემცირება მოიცავს რისკის წარმოქმნის ალბათობის სიხშირისა და ზარალის წარმოშობის ალბათობების მოცულობების შემცირებას. . რისკის დაკავება განსაზღვრავს, რომ პიროვნება ან კომპანია სრულად ან ნაწილობრივ იტოვებს და საკუთარ თავზე იღებს დამდგარ ზარალს.

რისკის დატოვების შემთხვევებია: როდესაც რისკის მართვის განსხვავებული მიდგომების გამოყენება მიზანშეწონილი არ არის; რისკის დატოვების შემდეგი შემთხვევაა, როდესაც სადაზღვევო პრემია მაღალია; როცა ზარალის დამდგარი მოცულობა დაზღვეულისათვის დაბალია; რისკის დატოვება მაშინ ხორციელდება, როცა დამდგარი ზარალის მოცულობის შეფასება ადვილია და მისი საკუთარი სახსრებით მოგვარება შესაძლებელია.

რისკის მართვის შემდეგ მეთოდს რისკის გადაცემა წარმოადგენს. დაზღვევა იმ კონკრეტული რისკის გადაცემაა, რა დროსაც, სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზარალის ანაზღაურება სხვა სუბიექტზე გადადის გარკვეული სადაზღვევო პრემიის სანაცვლოდ. რისკის გადაცემა მიმდინარეობს სადაზღვევო კომპანიაზე, რისთვისაც დამზღვევსა და მზღვეველს შორის ფორმდება სადაზღვევო პოლისი.

საბოლოო ეტაპი რისკის მართვისა არის, არჩეული სტრატეგიის მონიტორინგი. ის გულისხმობს დამდგარი ზარალების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, თუ რა მიდგომები იქნა გამოყენებული რათა რისკები მაქსიმალურად შემცირებულიყო. იყო თუ

არა აღნიშნული მეთოდები გამართლებული და რა ცვლილებები უნდა განხორციელდეს, რომ მართვა უფრო ეფექტიანი გახდეს.

თავი მესამე. სამეწარმეო რისკების დაზღვევის განვითარების მიმართულებები საქართველოში

3.1. სადაზღვევო კომპანიების მიერ შეთავაზებული სადაზღვევო პაკეტები სამეწარმეო რისკების დაზღვევაში

საქართველოს სადაზღვევო კომპანიები რამდენიმე მიმართულებით სთავაზობენ ბიზნეს ორგანიზაციებსა და საწარმოებს რისკების დაზღვევასა და მომსახურების თითქმის სრულ სპექტრს მოიცავენ.

ქონების დაზღვევა:

რა რისკებს მოიცავს დაზღვევა:

- ხანძარი;
- აფეთქება;
- ქურდობა/ყაჩაღობა;
- ვანდალიზმი (ბოროტგანზრახული ქმედება);
- სტიქიური მოვლენები (მიწისძვრა, ძლიერი წვიმა, წყალდიდობა, დიდთოვლობა, მეწყერი და ა.შ)

რა არის დაზღვეული:

- შენობები;
- მანქანა-დანადგარები,
- მძიმე ტექნიკა;
- საოფისე ინვენტარი და ტექნიკა;
- სასაწყობე ან სხვა ტიპის მარაგები;
- ნებისმიერი სხვა სახის ქონება.

მანქანა-დანადგარების დაზღვევა

- მანქანა-დანადგარების სადაზღვევო პოლისი შემდეგ რისკებისაგან შედგება: მანქანა-დანადგარების მოხმარების დროს დაშვებული შეცდომით ან გაუფრთხილებლობით გამოწვეული დანადგარების მწყობრიდან გამოსვლა;
- დენის მკვეთრი ცვალებადობით, ძაბვის მომატებით ან მოკლე ჩართვით გამოწვეული ზიანი;
- დანადგარების დამზადების ან აწყობის დროს დაშვებული შეცდომით მიყენებული ზარალი;
- წარმოების დეფიციტით გამოწვეული მანქანა-დანადგარების დაზიანება.

რა არის დაზღვეული:

- ელექტროტექნიკა,
- ლაზერული აპარატურა, სამედიცინო მოწყობილობები;
- კვლევითი ცენტრებისა და ლაბორატორიების აღჭურვილობა;
- მონაცემთა სისტემები, სერვერები, კომპიუტერული ცენტრები;
- ჩარხები, მანქანა-დანადგარები, ამწეკრანები.

ავტომობილების დაზღვევა

- ავტოსაგზაო შემთხვევა;
- ქურდობა; ძარცვა; ყაჩაღობა;
- ხანძარი; აფეთქება; ვანდალიზმი (ბოროტგანზრახული ქმედება);
- სტიქიური მოვლენები (მიწისძვრა, სეტყვა, ძლიერი წვიმა, წყალდიდობა, დიდთოვლობა, მეწყერი და ა.შ.);
- საგნების, აქსესუარების დაზიანება/ქურდობა;
- საგნების ვარდნა.
- დაზღვეულია ნებისმიერი ტრანსპორტი - მსუბუქი ავტომობილი, მიკროავტობუსი, ავტობუსი, სატვირთო მანქანა, სპეც-ტექნიკა და ა.შ

პასუხისმგებლობის დაზღვევა - ბიზნეს-საქმიანობის პროცესში საწარმომ ან კომპანიამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სხვა პირის ქონებას ან სიცოცხლეს. ამ ზიანის გადახდა კომპანიის პასუხისმგებლობაა. დაზღვევა სწორედ ამგვარი ფინანსური ზარალისგან იცავს ორგანიზაციას და ანაზღაურებს სხვა პირებისთვის მიყენებულ ზარალს. პასუხისმგებლობის დაზღვევა რამდენიმე კომპონენტს მოიცავს და გამოიყენება საქმიანობის მიხედვით:

სამოქალაქო პასუხისმგებლობა - ზოგადი ტიპის პასუხისმგებლობაა, რაც ყველა ტიპის ორგანიზაციას სჭირდება;

გადამზიდველის პასუხისმგებლობა - ტვირთების გადაზიდვისას ტვირთის დაზიანება საგზაო ან სხვა შემთხვევით, გადაზიდვის შეფერხება; სასტუმროსა და საზოგადოებრივი კვების ობიექტის მფლობელის პასუხისმგებლობა - მოიცავს რისკებს, როგორცაა სტუმრების მოწამვლა საკვებით და ა.შ; პროდუქტზე პასუხისმგებლობა - პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობა უვარგისი ან წუნიაანი პროდუქტის ბაზარზე გატანასთან დაკავშირებით; პროფესიული პასუხისმგებლობა - ექიმების, არქიტექტორების, ინჟინრების, აუდიტორების, ნოტარიუსების შეცდომით/უნებლიე გადაცდომით გამოწვეული პასუხისმგებლობა;

უბედური შემთხვევის დაზღვევა - საწარმოო პროცესში მომხდარი უბედური შემთხვევა. დაზღვევით გაიცემა კომპენსაცია თანამშრომლის სახელზე.

საქმიანობის შეფერხების დაზღვევა - თუკი ხანძრის, წყალდიდობის ან სხვა რისკის გამო შენობა დაზიანდა, მის შეკეთებას დრო სჭირდება. შეკეთების თანხას შეიძლება დაზღვევა გადაიხდის, მაგრამ ამ პერიოდში საქმიანობა შეჩერებულია სრულად ან ნაწილობრივ. ეს კი იწვევს მოგების შემცირებას, ხარჯების ზრდას და ვალების დაგროვებას.

საქმიანობის შეფერხების დაზღვევა ამგვარი ფინანსური ზარალისგან იცავს მეწარმეს და დაზღვევით ინაზღაურებს მოგების დანაკარგს.

რა ანაზღაურდება? - მიუღებელი მოგება (იმ პერიოდის მოგება, როდესაც საქმიანობა შეჩერებულია გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო); ბანკის სესხები და პროცენტები

(შესაბამისი პერიოდის, როდესაც საქმიანობა შეჩერებულია); თანამშრომლების ფიქსირებული ხელფასები; იჯარისა და დაცვის ხარჯები.

ბენეფიტ პაკეტი თანამშრომლებისთვის

ჯანმრთელობის კორპორაციული დაზღვევა - ჯგუფური ანუ კორპორაციული სადაზღვევო პროგრამა იძლევა საშუალებას ბევრად უკეთესი პირობები შესთავაზოს სადაზღვევო კომპანიამ, ვიდრე ინდივიდუალური სქემით. კორპორატიული დაზღვევის უპირატესობა ის არის, რომ პროგრამაში შესაძლებელია თანამშრომლების ოჯახის წევრების ჩართვაც.

განვიხილოთ საქართველოში არსებული სამი სადაზღვევო კომპანიის სამეწარმეო რისკების დაზღვევის პაკეტები.

კომპანია **ალდაგი** კორპორატიული დაზღვევის ჭრილში შემდეგ სადაზღვევო პროდუქტებს გვთავაზობს:

ქონების სადაზღვევო ნუსხა: უძრავი და მოძრავი ქონების დაზღვევა; საწარმოო საქმიანობის შეჩერებით გამოწვეული ზარალისგან დაზღვევა; მარაგების დაზღვევა; მანქანა-დანადგარების დაზღვევა; ტვირთების დაზღვევა; სამშენებლო რისკების დაზღვევა.⁶

ანაზღაურებას ექვემდებარება აგრეთვე: მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა; დამსაქმებლის პასუხისმგებლობის დაზღვევა; გადამზიდველთა პასუხისმგებლობის დაზღვევა.

ტრანსპორტის სადაზღვევო ნუსხა: ავტოტრანსპორტის დაზღვევა; მესამე პირის წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობის დაზღვევა; მძღოლისა და მგზავრთა უბედური შემთხვევისგან დაზღვევა; საწყალოსნო საშუალებების დაზღვევა; საავიაციო რისკების დაზღვევა; საჰაერო ხომალდის მფლობელის მესამე მხარისადმი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა.

⁶ www.Aldagi.ge

ფინანსური რისკების ანაზღაურებას ექვემდებარება: ფინანსური რისკის დაზღვევა; საგარანტიო მომსახურება; სასაქონლო კრედიტის რისკების დაზღვევა.

აგროდაზღვევა: მოსავლის დაზღვევა; საქონლის დაზღვევა.⁷

ჯიპიაი ჰოლდინგი შემდეგ სადაზღვევო პაკეტებს გვთავაზობს:

ქონებრივი რისკების დაზღვევის პაკეტი:

- ქონების დაზღვევა;
- მანქანა-დანადგარების დაზღვევა;
- ბიზნესის შეფერხების დაზღვევა.

პასუხიმგებლობის დაზღვევის კორპორაციული პაკეტით ანაზღაურებას ექვემდებარება:

- სამოქალაქო პასუხიმგებლობის დაზღვევა;
- ბიზნესის VIP პერსონების დაზღვევა;
- თანამშრომელთა საკომპენსაციო დაზღვევა ⁸.

კორპორაციული ავტომობილების დაზღვევის პაკეტი

ქონების დაზღვევის შემთხვევაში ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი არის 3 000 000 ლარი.

ამ შემთხვევაში ანაზღაურდება ქონების დაზიანების ან განადგურების შედეგად მიყენებული ფინანსური ზარალი, რომელიც გამოწვეულია შემდეგი შემთხვევებისგან: ხანძარი, აფეთქება, მეხის დაცემა; სეტყვა, მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, თოვლის სიმძიმით გამოწვეული დაზიანება, გრუნტის აწევა/დაწევა; ქურდობა, ყაჩაღობა; ძარცვა; დატბორვა, ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეჯახება, ვანდალიზმი.

ქონების დაზღვევის შემთხვევაში ანაზღაურდება: დაზიანებული ქონების დასუფთავების და მასთან დაკავშირებული ნაგვის გატანის ხარჯები - სადაზღვევო თანხის

⁷ www.Aldagi.ge

⁸ <https://mygpi.ge/>

10%-ის ოდენობით; სახანძო ან სამაშველო სამსახურების მიერ აუცილებელი შეღწევის შედეგად დაზღვეულ ქონებაზე მიყენებული ზიანი - 1 000 ლარის ოდენობით.

ფრანშიზის რაოდენობა შეადგენს: სტიქიური უბედურებების შემთხვევაში 1.5% ქონების სადაზღვევო თანხიდან, მინიმუმ 500 ლარი; სხვა შემთხვევებში 1.5% ზარალის ოდენობიდან, მინიმუმ 500 ლარი.⁹

მანქანა დანადგარების დაზღვევა.

შესაძლოა დაეზღვიოს:

- ელექტროტექნიკა, ლაზერული აპარატურა, სამედიცინო მოწყობილობები;
- კვლევითი ცენტრებისა და ლაბორატორიების აღჭურვა;
- მონაცემთა სისტემები, სერვერები, კომპიუტერული ცენტრები;
- ჩარხები, მანქანა დანადგარები, ამწეკრანები.

რას ანაზღაურებს:

- მანქანა-დანადგარების მოხმარების დროს დაშვებული შეცდომით ან გაუფრთხილებლობით გამოწვეული დანადგარის მწყობრიდან გამოსვლა;
- დენის მკვეთრი ცვლილებით, ძაბვის მომატებით ან მოკლე ჩართვით მიყენებული ზიანი;
- დანადგარის დამზადების ან აწყობის დროს დაშვებული შეცდომით მიყენებული ზიანი;
- წარმოების დეფექტით გამოწვეული მანქანა-დანადგარის დაზიანება.

ფრანშიზა: თითოეული დანადგარისთვის 7% ზარალის ოდენობიდან, მინიმუმ 500 ლარი.¹⁰

ბიზნეს საქმიანობის შეფერხების დაზღვევა

ანაზღაურების ლიმიტი - 1 500 000 ლარი

ასევე დაზღვეული ბიზნეს საქმიანობის შეფერხება არის დაზღვეული, რომელიც წარმოიქმნა ქონების დაზიანებით ან მანქანა დანადგარების მწყობრიდან გამოსვლით.

⁹ <https://mygpi.ge/>

¹⁰ <https://mygpi.ge/>

ანაზღაურებას ექვემდებარება შემდეგი:

- მიუღებელი მოგება, მათ შორის რენტის დაკარგვით გამოწვეული მიუღებელი შემოსავალი;
- ბანკის პროცენტები;
- თანამშრომლების ფიქსირებული ხელფასები;
- იჯარისა და დაცვის ხარჯები.

ანაზღაურების პერიოდი არის 6 თვე.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა

ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი - 300 000 ლარი.

პოლისი აგრეთვე ითვალისწინებს ბიზნეს საქმიანობის პროცესში მესამე პირისთვის მიყენებულ ფინანსური ზარალის ანაზღაურებას.

სადაზღვევო პაკეტი და ანაზღაურების ლიმიტები¹¹

ცხრილი N 3.1

ანაზღაურების ლიმიტი	100 000 ლარი	200 000ლარი	300 000ლარი
თვეში პრემია	40 ლარი	60ლარი	80ლარი

ფრანშიზა: 0 - ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში

500 ლარი - ქონების დაზიანების შემთხვევაში

ბიზნესის VIP პერსონების დაზღვევა

ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი - 200 000 ლარი

ვინ შეიძლება დაეზღვიოს:

- კომპანიის მმართველი პირები
- კომპანიის წამყვანი სპეციალისტები

რას ანაზღაურებს:

¹¹ <https://mygpi.ge/>

ანაზღაურდება თანამშრომლის უბედური შემთხვევით გამოწვეული ხანგრძლივი ავადმყოფობის ან გარდაცვალების შედეგად ბიზნესზე მიყენებული ფინანსური ზარალი, რომელიც გამოწვეულია უბედური შემთხვევით .

სადაზღვევო პაკეტი და ანაზღაურების ლიმიტები¹²

ცხრილი N 3.2

ანაზღაურების ლიმიტი	50 000 ლარი	100 000 ლარი	150 000ლარი	200 000ლარი
პრემია თვეში ერთ დაზღვეულზე	12 ლარი	21 ლარი	36 ლარი	50 ლარი

თანამშრომლების საკომპენსაციო დაზღვევა¹³

ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი - 500 000 ლარი

სადაზღვევო პოლისი ითვალისწინებს იმ სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებას, როდესაც თანამშრომელი სამუშაო პროცესის დროს დაშავდა ან უბედური შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა ან პროფესიული დაავადებით დაავადდა. ამ შემთხვევაში ანაზღაურდება: თანამშრომლის მკურნალობის ხარჯები; თანამშრომელთა ხელფასები.

თანამშრომელთა გარდაცვალების შემთხვევაში გაიცემა ფულადი კომპენსაცია.

¹² <https://mygpi.ge/>

¹³ <https://mygpi.ge/>

სადაზღვევო პაკეტი და ანაზღაურების ლიმიტები¹⁴

ცხრილი N 3.3

ანაზღაურების ლიმიტი ერთ პიროვნებაზე	5 000ლარი	10 000ლარი	15 000ლარი
თვეში პრემია ერთ პიროვნებაზე	2 ლარი	3 ლარი	5 ლარი

კორპორაციული ავტომობილების დაზღვევა

- მსუბუქი ავტომობილები;
- სატვირთო მანქანები;
- მისაბმელები;
- მიკროავტობუსები;
- ავტობუსები.

ანაზღაურდება ავტომობილებისთვის მიყენებული ზარალი, რომელიც გამოწვეულია შემდეგი შემთხვევებისგან:

- ავტოსაგზაო შემთხვევა;
- ქურდობა;
- ძარცვა;
- ყაჩაღობა;
- ბოროტგანზრახული შემთხვევა;
- საგნების ვარდნა;
- სტიქიური უბედურებები.

სადაზღვევო პოლისში დამატებითი დაფარვით ანაზღაურებას ექვემდებარება:

¹⁴ <https://mygpi.ge/>

- მიწისძვრითა და სეტყვით მიყენებული ზარალი ფრანშიზის გათვალისწინებით;
- მანქანის მინების, სარკეების და სხვა ცალკეული დეტალების დაზიანება (უფრანშიზოდ).

ავტოპასუხისმგებლობის დაზღვევა

რას ანაზღაურებს?

პოლისის ანაზღაურებს ხარჯებს, რომელიც გამოწვეულია: თანამშრომლის მიერ კომპანიის ავტომობილის მართვის დროს სხვისი მანქანის, ქონების ან ჯანმრთელობის დაზიანებასთან.

ტარიფები და ანაზღაურების ლიმიტები¹⁵

ცხრილი N 3.5

ანაზღაურების ლიმიტი	\$ 5 000	\$ 10 000	\$ 30 000	\$ 50 000
პრემია თვეში	\$ 4	\$ 5	\$ 8	\$ 9
ფრანშიზა	\$ 0	\$ 0	\$ 0	\$ 0

მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისგან დაზღვევა

ანაზღაურებას ექვემდებარება აგრეთვე კომპანიის ავტომობილში მსხდომი დაშავებული მძღოლისა და მგზავრების მკურნალობის ხარჯები, რომელიც გამოწვეულია ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად.

¹⁵ www.gpih.ge

ანაზღაურების ლიმიტი	\$ 5000	\$10000	\$ 30 000	\$ 50 000
პრემია თვეში	\$ 2	\$ 2,5	\$ 4,5	\$ 7

თიბისი დაზღვევა კორპორატიული დაზღვევის ორ ძირითად მიმართულებას გვთავაზობს:

ქონებრივი რისკების დაზღვევის პაკეტი:

- ქონების დაზღვევა;
- მანქანა-დანადგარების დაზღვევა;
- ბიზნესის შეფერხების დაზღვევა.

პასუხისმგებლობის დაზღვევის კორპორაციული პაკეტით ანაზღაურებას ექვემდებარება:

- სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა;
- ბიზნესის VIP პერსონების დაზღვევა;
- თანამშრომელთა საკომპენსაციო დაზღვევა ¹⁷.

2018 წლის 1 მარტს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით ძალაში შევიდა დადგენილება, რომლითაც მასობრივი თავშეყრის ობიექტები, 100 ნომერზე დიდი სასტუმროები სავალდებულო წესით უნდა იყოს დაზღვეული. სავალდებულო დაზღვევით უნდა ისარგებლონ ავტოგასამართმა სადგურებმაც.¹⁸

¹⁶ www.gpih.ge

¹⁷ <https://mygpi.ge/>

¹⁸ www.tabula.ge

აღნიშნული დადგენილების მიხედვით საყოველთაო დაზღვევის პროგრამაში ჩაერთო: 120 სასტუმრო, 200 ბაზრობა და 1900 ავტოგასამართი სადგური.

აღნიშნული საყოველთაო დაზღვევა ვრცელდება საქმიანობის განმახორციელებელი (ფუნქციონირებადი) მასობრივი თავშეყრის ობიექტის მფლობელზე და იმ მზღვეველზე, რომელიც მიიღებს მონაწილეობას ამ დადგენილებით განსაზღვრულ სავალდებულო დაზღვევის სახეობაში.¹⁹

სადაზღვევო შემთხვევა განისაზღვრება, როგორც მასობრივი თავშეყრის ადგილებში უბედური შემთხვევის (აფეთქების, ხანძრის ან კონსტრუქციის ნგრევის, მათ შორის სამგზავრო ლიფტის ვარდნის) შედეგად მესამე პირის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის ან/და ქონებისთვის მიყენებული ზიანი, ამ დადგენილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

სადაზღვევო ლიმიტი ამ შემთხვევაში არის მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ოდენობა.

მასობრივი თავშეყრის ობიექტებში მესამე პირთა პირადი და ქონებრივი ინტერესების დაცვა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის მიზანს წარმოადგენს.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა ხორციელდება დამზღვევის მიერ მზღვეველთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამ შემთხვევაში დამზღვევის ვალდებულებას წარმოადგენს, გადაიხადოს შესაბამისი სადაზღვევო პრემია, მზღვეველის კი ანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მესამე პირისთვის მიყენებული ზიანი.

მზღვეველი წერილობითი ფორმით აცნობს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს ამ დადგენილებით გათვალისწინებული სავალდებულო დაზღვევის სახეობაში საქმიანობის განხორციელების შესახებ - საქმიანობის დაწყებამდე,

¹⁹ www.versia.ge

ხოლო საკუთარი ინიციატივით საქმიანობის შეწყვეტისას - შეწყვეტამდე ერთი თვით ადრე.

ამ წესის მიხედვით შექმნილი სადაზღვევო პოლისით არ ანაზღაურდება ზიანი, რომელიც გამოწვეულია შემდეგი ქონების განადგურებით: ფულის ბანკნოტები და კუპიურები, ბეჭდები, ობლიგაციები, ვაუჩერები, ჟეტონები, საკრედიტო ბარათები და სხვა ფასიანი ქაღალდები, ხელნაწერები, გეგმები, ნახაზები.

დამზღვევი ვალდებულია მზღვეველს აცნობოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ, მაგრამ არაუმეტეს შემთხვევის დადგომიდან 24 საათისა.

სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო ლიმიტისა. ამასთან, მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ოდენობა მცირდება სავალდებულო დაზღვევის პოლისის ფარგლებში გაცემული სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობით.

მასობრივი თავშეყრის ობიექტის მფლობელი ვალდებულია, სავალდებულო დაზღვევის პოლისის წლიური სადაზღვევო ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში, დააზღვიოს სავალდებულო სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაზღვევის პერიოდის უწყვეტობის პრინციპის დაცვით.²⁰

საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე 17 სადაზღვევო კომპანიაა და მათგან 13 აღნიშნულ პროგრამაში ჩაერთო, მათ შორის სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგი“, დაზღვევის საერთაშორისო კომპანია „ირაო“, „არდი დაზღვევა“, სადაზღვევო კომპანია „ალფა“, სადაზღვევო კომპანია „აისი ჯგუფი“, „პსპ ჯგუფი“, სადაზღვევო კომპანია „უნისონი“, სადაზღვევო კომპანია „პრაიმი“, საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „კამარა“, „თიბისი დაზღვევა“, სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“, რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია „გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“ და საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“²¹.

²⁰ საქართველოს მთავრობის დადგენილება №579, 2017 წლის 28 დეკემბერი

²¹ www.insurance.gov.ge

გარდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში პასუხისმგებლობის დაზღვევისა უცხოონომრიანი ავტომობილების მძღოლებისთვის სავალდებულო გახდა ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევა საქართველოს საზღვრის გადმოკვეთისას, თუ ისინი ქვეყანაში არანაკლებ 15 დღისა აპირებენ მოძრაობას.

საზღვარგარეთ რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას, საბაჟო დეპარტამენტის პასუხისმგებელი პირი საკუთარი უფლებამოსულების ფარგლებში ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელს/მძღოლს სასაზღვრო გამტარ პუნქტში განუმარტავს სავალდებულო დაზღვევის შეძენის ვალდებულებას.

სავალდებულო სადაზღვევო პოლისის გაფორმება ხელმისაწვდომია ცენტრში, მზღვეველ კომოანიასთან , სადაზღვევო აგენტისა ან ბროკერის მეშვეობით ან ელექტრონულად.

სავალდებულო დაზღვევა მოქმედებს სავალდებულო დაზღვევის პოლისში მითითებული ვადით. ამასთანავე, სავალდებულო დაზღვევის პოლისი ძალაში შედის შესაბამისი სადაზღვევო პრემიის გადახდის შემდეგ ამავე დღის 00:00 საათიდან და სრულდება დაზღვევის პოლისში აღნიშნული დაზღვევის პერიოდის დასრულების დღის 24 საათზე.²²

მზღვეველი არ ანაზღაურებს შემდეგ შემთხვევებს: ა) სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენებით შეჯიბრების, გამოცდის, სწავლების ჩატარებისას მიყენებულ ზიანს; ბ) დაზარალებულის განზრახი ქმედებით გამოწვეულ ზიანს; გ) დაუძლეველი ძალით გამოწვეულ ზიანს; დ) სამხედრო ოპერაციით, სამხედრო მანევრით, სამხედრო გადატრიალებით, ტერორისტული აქტით გამოწვეულ ზიანს.

დაზარალებულის ქონებისთვის მიყენებული ზიანია: ა) დაზარალებულის ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზიანება ან განადგურება; ბ) გზის საფარის, გზის

²² www.versia.ge

კონსტრუქციული ელემენტის, შენობის ან/და ნაგებობის დაზიანება ან განადგურება; გ) დაზარალებულის პირადი ნივთისა და სხვა ქონების დაზიანება ან განადგურება.

დაზარალებულისთვის მიყენებულ ზიანს ანაზღაურებს ცენტრი მზღვეველების მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

ცენტრს უფლება აქვს, დაზარალებულისთვის სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდეგ რეგრესის წესით წაუყენოს მოთხოვნა ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელ პირს შემდეგ შემთხვევებში: ა) ზიანის განზრახ მიყენებისას; ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალების ალკოჰოლური, ტოქსიკური, ფსიქოტროპული ან ნარკოტიკული სიმთვრალის მდგომარეობაში მართვისას; გ) ავტოსატრანსპორტო საშუალების არაკანონიერად მართვისას დ) ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების გარეშე მართვისას; ე) დაუზღვეველი ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისას.²³

²³ საქართველოს კანონი „საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“, 15 დეკემბერი, 2017 წ.

3.2. სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის სტატისტიკური ანალიზი სამეწარმეო რისკების დაზღვევის მიმართულებით


სადაზღვევო კომპანიების სტატისტიკური მონაცემები ცვალებადია, ხოლო საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ბოლო ანგარიშზე დაყრდნობით საქართველოში ფუნქციონირებს 17 სადაზღვევო კომპანია, რომელთაგანაც 16 კომპანია სიცოცხლისა და არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიის მფლობელია, ერთი მათგანი კი არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიისა.

სადაზღვევო პრემიამ 2019 წელს 625 მლნ ლარი, ხოლო სადაზღვევო მოგება 157 მლნ ლარი და წმინდა მოგება კი 25 მილიონი ლარია.

აქტივების ჯამური მოცულობა სადაზღვევო კომპანიებისთვის შეადგენს 799 მილიონ ლარს, ხოლო კაპიტალი 235 მილიონ ლარს.


სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლები 2018-2019

დიაგრამა N 3.1



სადაზღვევო კომპანიების მიერ 2018-2019 წლებში მოზიდული სადაზღვევო
პრემიების შედარება (მლნ ლარი)


დიაგრამა N 3.2



მოცემული სქემის მიხედვით მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ დაზღვევის საქმიანობიდან 2019 წელს ჯამში 325,00 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო 2018 წელს - 542,20 მლნ. ლარი. სადაზღვევო ბაზრის ლიდერად კი სს „ჯიპიაი ჰოლდინგი“ გვევლინება.

მოზიდული სადაზღვევო პრემია დაზღვევის სახეობების მიხედვით
2019 და 2018 წლების შედეგების შედარება

დიაგრამა N3.3




2018-2019 წლებში დაზღვევის სახეობების მიხედვით მოზიდული სადაზღვევო პრემიების ოდენობით ლიდერობს სამედიცინო დაზღვევა, თუმცა მნიშვნელოვანი წილი უჭირავს, როგორც სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა, ასევე ქონების დაზღვევას. ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა 2019 წელს მცირედით არის გაზრდილი, ასევე მცირედითაა გაზრდილი 2019 წელს დაზღვევა საფინანსო დანაკარგებისაგან და საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევა.

სადაზღვევო კომპანიების მიერ ანაზღაურებული დამდგარი ზარალების (მლნ ლარი)

2019 და 2018 წლების შედეგების შედარება


დიაგრამა N 3.4



ანაზღაურებულმა ზარალებმა პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან 2019 წლის მონაცემებით შეადგინა 532,52 მლნ. ლარი, ხოლო იგივე მაჩვენებელი 2018 წლის მდგომარეობით იყო 301,86 მლნ.ლარი. 2018 წელს წინა წელთან შედარებით 230,66 მლნ. ლარით მეტი ზარალი ანაზღაურდა.

გამომუშავეული პრემის და დამდგარი სადაზღვევო ზარალები შედარება კომპანიების მიხედვით 2019 წლის განმავლობაში (მლნ ლარი)


დიაგრამა N 3.5



2019 წლის განმავლობაში გამომუშავეულმა სადაზღვევო პრემიამ სულ შეადგინა 571,40 მლნ. ლარი, დამდგარი ზარალების რაოდენობა კი 522,05 მლნ. ლარი. ამ მონაცემების მიხედვით ბაზრის ლიდერად გვევლინება სს „ჯიპიაი ჰოლდინგი“, როგორც მოზიდული პრემიის, ისე დამდგარი ზარალების მიხედვით.

გამომუშავებული ნეტო და ნეტო დამდგარი სადაზღვევო ზარალები სადაზღვევო კომპანიების მიხედვით (მლნ ლარი), 2019 წელი


დიაგრამა N 3.6



აღნიშნული დიაგრამიდან ჩანს, რომ 2019 წლის განმავლობაში სულ ნეტო გამომუშავებული პრემია შეადგენს 449,15 მლნ ლარს, ხოლო ნეტო დამდგარი ზარალი 277,08 მლნ ლარს.


აქტიური პოლისების რაოდენობა სამედიცინო და სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის სახეობებში (2017-2019 წლები 31 დეკემბრის მდგომარეობით)

დიაგრამა N 3.7



აქტიური პოლისების რაოდენობა სიცოცხლისა და არსიცოცხლის დაზღვევის სახეობებში ბოლო სამი წლის განმავლობაში ზრდას განიცდის. საქართველოს მოსახლეობის 16% სარგებლობს სამედიცინო დაზღვევით. საქართველოში რეგისტრირებული ავტომობილების 7% დაზღვეულია.

2019 წლის განმავლობაში დაზღვევის სახეობაში მოზიდული პრემიამ და ბაზრის წილმა სადაზღვევო კომპანიების მიხედვით 234,05 მლნ. ლარი შეადგინა.




სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევის სახეობაში მოზიდული პრემიისა და ბაზრის წილის ლიდერ კომპანიად გვევლინება სს „ალდაგი“. თუმცა მინდა გამოვყო სს „ჯიპიაი ჰოლდინგი“. ის არის ერთადერთი სადაზღვევო კომპანია, რომელიც წლების განმავლობაში სთავაზობს დაზღვეულებს ჯანმრთელობის ინდივიდუალურ დაზღვევას. მან კიდევ ერთი ახალი პროდუქტი შექმნა „ონკო ქეარი“. ამ პროდუქტით ის აზღვევს ონკოლოგიურ დაავადებს და საკმაოდ პოპულარობითაც სარგებლობს დაზღვეულთა შორის.

ქვემოთ წარმოდგენილია საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის სექტორში წლიური მოზიდული პრემია და ბაზრის წილი სადაზღვევო კომპანიების მიხედვით, რამაც 2019 წლის განმავლობაში 112,01 მლნ. ლარი შეადგინა.

სადაზღვევო კომპანიების სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის სახეობაში მოზიდული პრემია და ბაზრის წილი

დიაგრამა N 3.9




2019 წელს საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის სახეობაში მოზიდული პრემიისა და ბაზრის წილის ლიდერი კომპანია სს „თბილისი დაზღვევა“ 26%-ით. მეორე ადგილს სს „აღდაგი“ 20%-ით იკავებს, სს „ჯიპიაი ჰოლდინგი“ მესამე ადგილზე 18%-ით არის წარმოდგენილი.

2019 წლის მანძილზე ქონების დაზღვევის მიმართულებით მოზიდული სადაზღვევო პრემია და ბაზრის წილი სადაზღვევო კომპანიების მიხედვით 88,39 მლნ ლარს შეადგენს.

სადაზღვევო კომპანიების ქონების დაზღვევის სახეობაში მოზიდული პრემია და ბაზრის
წილი, 2019


დიაგრამა N 3.10



ქვემოთ მოცემულ სქემაზე აღნიშნულია 2019 წლის განმავლობაში სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობაში მოზიდული პრემია და ბაზრის წილისადაზღვევო კომპანიების მიხედვით.

სადაზღვევო კომპანიების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობაში
მოზიდული პრემია და ბაზრის წილი, 2019

დიაგრამა N 3.11



მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) პროგრამა სოციალური პროექტია, რომელიც სს „ჯიპიაი ჰოლდინგმა“ 2017 წელს ბავშვთა სამყაროში გაჩენილი ხანძრის შედეგად შეიმუშავა და ორიენტირებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე. პროგრამის ფარგლებში, დაზღვევის ღირებულების 50%-ს სადაზღვევო კომპანია აფინანსებს. ბიზნეს პოლისით, რომელიც ჯიპიაი ჰოლდინგის ერთ-ერთი წარმატებული პროექტია, 6 000-ზე მეტი მეწარმე სარგებლობს და ღირებულება 15 ლარიდან იწყება. პოლისი 50 000 ლარამდე

ზარალს ანაზღაურებს, მათ შორის ბანკის სესხის პროცენტს და საქმიანობის შეფერხების შედეგად მიყენებულ ზარალს.²⁴

ჯიპიაი ჰოლდინგმა წინა პერიოდის ანგარიშის მიხედვით, ყველაზე მეტი ზარალი, 61 მილიონი ლარი ანაზღაურა და ამ კუთხით ლიდერია სადაზღვევო კომპანიებს შორის. კომპანია დღეში საშუალოდ 150 000 ლარამდე ზარალს ანაზღაურებს.²⁵

სადაზღვევო ბაზრის ლიდერი კომპანია - სს „ჯიპიაი ჰოლდინგი“

სს „ჯიპიაი ჰოლდინგი“ სადაზღვევო ბაზრის ლიდერად გველინება და არ თმობს საკუთარ პოზიციებს ბოლო წლების განმავლობაში, როგორც სიცოცხლის, ასევე არასიცოცხლის დაზღვევის მიმართულებით, რაც იკვეთება წლიური ანგარიშების მიხედვით. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სს „ჯიპიაი ჰოლდინგი“ ყოველთვის სთავაზობს თავის მომხმარებელს ინოვაციურ და მათ საქმიანობაზე მორგებულ სადაზღვევო პროდუქტებს. სწორედ ამიტომ მისი დაზღვეულები არიან ისეთი დიდი კომპანიები,

²⁴ <http://old.pia.ge/>

²⁵ <http://old.pia.ge/>

როგორცაა: რუსთავის აზოტი, თავდაცვის სამინისტრო, აშშ საელჩო, ვითიბი ბანკი, IDS ბორჯომი და მისი შვილობილი კომპანიები, საქართველოს ფოსტა, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა, მტკვარი ენერჯი, ისთ ფონტი, ბათუმის ჰილტონი, კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური, კორპორაცია აისიარ, ჯი-ემ-თი სასტუმროები, რუსთავის მეტალურგიური ქარხანა, მაგთიკომი, მტკვარი ენერჯი, ლიბერთი ბანკი, პროკრედიტ ბანკი, ისთ ფონტი (ტერმინალ ვესთ თრეიდინგი), ნიკორა და მისი შვილობილი კომპანიები, რედიქსი და მისი შვილობილი კომპანიები, საპატრულო, ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია, დარიალი ენერჯი, ბათუმის აეროპორტი, სან პეტროლიუმ ჯორჯია-GULF.

საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი ზარალი სს „ჯიპიაი ჰოლდინგმა“ ოთხი მილიონი ლარი რუსთავის მეტალურგიურ ქარხანას აუნაზღაურა. რუსთავის მეტალურგიური ქარხანა დაზღვეული იყო „ქონების დაზღვევის“ პოლისით, რაც მოიცავდა შემდეგს: ქონების დაზღვევა; მანქანა-დანადგარების დაზღვევა; ბიზნესის შეფერხების დაზღვევა. ქონების დაზღვევით დაფარული რისკებია: ხანძარი, აფეთქება, მეხის დაცემა, სტიქიური მოვლენები, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, დატბორვა, სატრანსპორტო საშუალებების შეჯახება, ბოროტგანზრახული ქმედება, დაზიანებული ქონებისა დასუფთავებისა და მასთან დაკავშირებული ნარჩენების გატანის ხარჯი, სახანძრო ან სამშველო სამსახურის მიერ აუცილებელი შეღწევის შედეგად დაზღვეულ ქონებაზე მიყენებული ფინანსური ზიანი. ბიზნესის საქმიანობის შეფერხების დაზღვევა ითვალისწინებს: მიუღებელი მოგება, საბანკო პროცენტები, თანამშრომლების ფიქსირებული ხელფასები, დაცვისა და სხვა ხარჯები. დაზიანებული დანადგარის გამო რუსთავის მეტალურგიური ქარხანა 6 თვის განმავლობაში ვერ ახორციელებდა თავის საქმიანობას. სს „ჯიპიაი ჰოლდინგმა“ აუნაზღაურა მიუღებელი მოგება, საბანკო პროცენტები, თანამშრომლების ფიქსირებული ხელფასები, დაცვისა და სხვა ხარჯები.

უნდა აღინიშნოს, რომ სს „ჯიპიაი ჰოლდინგის“ პოზიციები გასულ წელთან შედარებით გამყარდა. მოზიდული პრემია 40%- ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს,

ხოლო არასიცოცხლის მიმართულებით 51%-იანი ზრდა ფიქსირდება. ამის შედეგია ის, რომ სს „ჯიპიაი ჰოლდინგი“ ყველაზე სანდო კომპანიად სახელდება, ხოლო მომსახურების კმაყოფილების დონე - ბაზრის საშუალოზე მაღალია და 85%-ს უტოლდება.

სს „ჯიპიაი ჰოლდინგმა“ ოთხჯერ მიიღო ოქროს ბრენდის ჯილდო. ბრენდის ან სავაჭრო ნიშნის ცნობადობას 200-მდე ექსპერტი აფასებს რეპუტაციისა და ბრენდის პოპულარიზების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების მიხედვით. სწორედ მათი შეფასებით ხდება წლის რჩეული კომპანიების გამოვლენა. ნდობა სადაზღვევო კომპანიისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია და ეს ჯილდოც იმის გამომხატველია, რომ მომხმარებლები და საზოგადოება მას ენდობა. ჯიპიაი-ს წარმატებაზე და მყარ პოზიციებზე დასაზღვევო ბაზარზე კიდევ ერთხელ მეტყველებს რჩეული ბრენდის ჯილდო.

სს „ჯიპიაი ჰოლდინგი“ კიდევ ერთ პროექტს ამჯერად სს „ლიბერთი ბანკთან“²⁶ ერთად იწყებს. მათი პირველი საერთო პროექტი აგროდაზღვევასა და აგრობარათებს ეხებათ. აღნიშნული პროექტი კორონავირუსის პანდემიის შედეგად აგრომეურნეობის დასახმარებლად შეიქმნა. კერძოდ, სახელმწიფო სუბსიდიებთან ერთად აგრო მეწარმეები მიიღებენ სს „ლიბერთი ბანკიდან“ აგრობარათებს, ხოლო სს „ჯიპიაი ჰოლდინგიდან“ აგროდაზღვევას.

სს „ჯიპიაი ჰოლდინგმა“ ფერმერებისათვის აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამა 2014 წლის სექტემბრიდან უკვე აამოქმედა. მხოლოდ გასული წლის განმავლობაში 10 000-ზე მეტი ფერმერი დაეზღვია, ხოლო მათთვის ანაზღაურებულმა თანხამ 11 000 000 ლარს გადააჭარბა.

სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლის დაზღვევის ძირითადი რისკებია:

²⁶ <https://www.libertybank.ge/ka/>

- სეტყვა
- წყალდიდობა
- ქარიშხალი

დაზღვეული რისკებით მიყენებულ ზარალს სს „ჯიპიაი ჰოლდინგი“ სრულად ანაზღაურებს. ხოლო სადაზღვევო პრემიის 70-50 %-ს სახელმწიფო აფინანსებს.

დასკვნები და წინადადებები

თავისუფალი კონკურენციისა და ეკონომიკის პირობებში კომპანიებისათვის მნიშვნელოვანია ეფექტურად მართონ სამეწარმეო რისკები, აქ დიდი როლი სადაზღვევო კულტურის მაღალ დონესა და მექანიზმებს აქვს.

დაზღვევა ზარალის ანაზღაურების კარგი საშუალებაა. ვინაიდან რისკის გადაცემა დაზღვევის ძირითადი ფუნქციაა. სწორედ მისგან გამოვლინდება თავისი უპირატესობები.

მცირე და საშუალო ბიზნესის წარმატებისათვის საჭიროა მყარი ფინანსური მდგომარეობა. ამისთვის კი აუცილებელია პრევენციული საშუალებების არსებობა.

სამეწარმეო რისკების დაზღვევის მექანიზმი გვაძლევს საშუალებას თავიდან ავირიდოთ მოსალოდნელი ზარალი გამოწვეული ბუნებრივი კატაკლიზმებისაგან, ავტოსაგზაო შემთხვევებისას, ტრანსპორტირების პერიოდში საქონლის დაზიანებისას, თანამშრომლების ავადმყოფობის, გარდაცვალების ან უბედური შემთხვევის გამო.

მთავარია, მეწარმემ სწორად მოახდინოს რისკების კლასიფიკაცია და შეძლოს მათი თავიდან აცილება, ამის კარგ საშუალებას კი რისკების დაზღვევა გვაძლევს.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ დაზღვევის გამოყენება მით უფრო ეფექტიანია, რაც მეტია „სარისკო ფონდის“ სიდიდე, ან რაც უფრო რენტაბელურია კაპიტალდაბანდება წარმოების საშუალებებსა და სხვა დაბალლიკვიდურ აქტივებში.

სადაზღვევო პოლისის მთავარ მიზანსა და დანიშნულებას უნდა წარმოადგენდეს კომპანიის, როგორც ფინანსური და ასევე საწარმოო რისკებისგან დაცვა, რათა მისი სამეწარმეო საქმიანობის გარემო ნაკლებად რისკიანი გახდეს.

ქართული სადაზღვევო კომპანიები, მათ შორის მსხვილი კომპანიებიც, ნაკლებ ყურადღებას უთმობენ რისკების იდენტიფიცირებასა და ანალიზს, რაც გამოწვეულია, როგორც ქვეყნის განვითარების თავისებურებებით, ასევე იმიტაც, რომ სამეწარმეო რისკ-

მენეჯმენტი მსოფლიო ეკონომიკური მეცნიერებისა და პრაქტიკის შედარებით ახალი მიმართულებაა.

საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად იზრდება განუსაზღვრელობა, სამეწარმეო რისკების რაოდენობა და მათი მართვის მექანიზმები. შესაბამისად, საქართველოში იზრდება რისკების მართვის მნიშვნელობა და კომპანიების მხრიდან ამ პროცესების შეუფასებლობამ შეიძლება შეაფერხოს მისი განვითარება.

საქართველოში სამეწარმეო რისკების დაზღვევის სამართლებრივი ასპექტები და ბიზნესის დაზღვევის სამართლებრივი საფუძვლები წარმოადგენს ძალიან აქტუალურ და ნაკლებად დამუშავებულ პრობლემას როგორც სადაზღვევო ასევე მთლიანად სამართლებრივ სივრცეში.

გამოყენებული ლიტერატურის სია

წიგნები და მონოგრაფიები.

1. გიგოლაშვილი გ. სადაზღვევო საქმე თბ. 2010
2. თედორაძე ი. „სადაზღვევო კულტურის ამაღლება - აუცილებელი პირობა ბიზნესის განვითარებისთვის“ , 2015
3. სიმონია თ. დაზღვევის საფუძვლები თბ 2018
4. ვერულავა თ „რისკების მართვა“, თბ 2013
5. ვერულავა თ. სადაზღვევო საქმის საფუძვლები თბ.,2017
6. ვერულავა თ. დაზღვევის ისტორია თბ.,2018
7. შათირიშვილი ჯ. კაკაშვილი. სადაზღვევო საქმე თბ., 2012
8. ცერცვაძე ა. ხავთაძე გ. ვეკუაძე. სადაზღვევო საქმე თბ., 2016
9. ჯგერენაია ლ. „დაზღვევის ინსტიტუტის წარმოშობა და სადაზღვევო კომპანიები საქართველოში“, თბ., 2012

10. Jason DeMers `7 Risks every entrepreneur must take` 2014

11. Andrew Blackman `The main type of business risk` 2014

12. Andrew Blackman `Effective risk management strategies` 2015

13. Andrew Blackman `How to measure risk in your business` 2014

საკანონმდებლო აქტები, წლიური ანგარიშები და სტატიები:

1. საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ. 2019
2. საქართველოს კანონი „საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“, 15 დეკემბერი, 2017 წ.
3. სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ყოველწლიური ანგარიში 2015-2018
4. საქართველოს მთავრობის დადგენილება №579, 2017 წლის 28 დეკემბერი

ვებ – გვერდები:

1. <http://insurance.gov.ge>
2. <https://mygpi.ge/>
3. <http://aldagi.ge/ge/>
4. <https://tbcinsurance.ge/>
5. <http://www.lari.ge/>
6. <https://www.libertybank.ge/ka/>